ოსმალეთში.

სულთანს წარუდგა ვეზირ-ხანი
და მოახსენა:
დიდო ხონთქარო, სჩანს ალლახმა
გაგვწირა ჩვენ!
კრიტი წაიღო საბერძნეთის
კამპანიამ...
ჰერცოგოვინა და ბოსნია
კი ავსტრიამ!!..



(შუბლი შეეკრა აბდულ გამიდს,
სჩანს არ იამა!)

ვეზირი. თავი დაგვიკრა ბოლგარიამ
და გაგვეცალა,
ალბანიაში აჯანყებამ
ფრთები გაშალა...



(წარბი შეკრული, აბდულ გამიდს
მყის გაეშალა,
თვალში გაუკრთა გმირს ხანების
სასტიკი ძალა).

ვეზირი. მაკედონიაც ემზადება
და აჯანყება,
დღეს თუ ხვალ იქაც იგრიალებს
და გაჩაღდება.



სულთანი. ეს ყველა კარგი, მაგრამ მითხარ
ჩვენ რაღა გვრჩება?!

აგენტების საყურადღებოთ.

მე-4 ნომრიდან **„მათრახის“** ანგარიში პირდაპირ რედაქციას უნდა გამოეგზავნოს.

შემდეგ, მე-6 ნომერს ის აგენტი ვერ მიიღებს, რომელიც ზალოგსა და მეოთხე ნომრის ანგარიშს არ გამოგზავნის მომავალ ხუთშაბათამდე.

„მათრახი“-ს № 5 იგზავნება პროვინციაში შემდეგ აგენტებთან:

1) **ქუთაისში**—ი. კვიცარიძესთან	300	ცალი.
2) **სამტრედიაში**—ყ. კოპალეიშვილთან	300	„
3) **ბათუმში**—ს. ფირცხალაიშვილთან	200	„
4) **ოზურგეთში**—ვ. ღლონტთან	150	„
5) **ფოთში**—ი, კოხრეიძესთან	150	„
6) **შორაპანში**—კ. პერტახიასთან	70	„
7) **ჯიათურაში** „	70	„
8) **ჩოხატაურში**—ნ. მეგრელიშვილთან	70	„
9) **ლანჩხუთში**—ლ. წულაძესთან	70	„
10) **მიხაილოვში**—ა. ებანოიძესთან	50	„
11) **გორში**— ბ-ნ არჩვაძესთან	40	„
12) **რიონში**—ი. კვიცარიძესთან	20	„
13) **სუფსაში**— ბ. ჭანტურიასთან	10	„
14) **თელავში**—ბ-ნ ონიკაშვილთან	10	„
	1510	ცალი*)

*) ამდენივე გაიგზავნა მე-4 № თითოეულ აგენტთან.

ვთხოვთ პატივცემულ აგენტებს, გამოგზავნონ ცნობა რამდენი ცალი გაზეთი მივაწოდოთ. შემდეგი ნომრიდან რედაქცია 20% მიიღებს თითოეულ დარჩენილ ნომრიდან.

რედაქტორ-გამომც. თ. ე. ბოლკვაძე.

SOVLAB

ელექტროშბეჭდავი აბს. „შრომა“ თფილისი.